ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ ზ-19/01172653 67-17

"22" 12 2017 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა №134-ში (საკ. კოდი №01.13.01.004.138) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (სავაჭრო-საოფისე შენობა-ნაგებობა – III კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №33979 19 14.07.2017წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა №134-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

„ა-გ“ ფასადი: ±0.00 ნიშნულზე, „ბ-გ“ მონაკვეთში კარს მონაცვლებული აქვს ადგილი, ასევე კიბეზე დამატებულია ერთი საფეხური. ფასადზე შემცირებულია ვიტრაჟების სიმაღლე 0.15 მ-ით. „ბ-ბ“ ღერძის მიმდებარედ შემცირებულია კარის სიმაღლე 0.3 მ-ით. ფასადზე ლესვის და ღებვის ნაცვლად მოწყობილია ფილებით მოპირკეთება, ხოლო მოპირკეთების ხარჯზე გაზრდილია კედლების სისქე და შემცირებულია გადახურვის სიმაღლე 0.3 მ-ით. კარის თავზე შემცირებულია სარეკლამო წარწერის მოცულობა და ფილებით მოპირკეთების ვიზაული. +8.45 ნიშნულზე, „ბ-გ“ მონაკვეთში „4-4“ ღერძის გარეთ გაუქმებულია კედელი.

„4-1“ ფასადი: ფასადი ნაწილობრივ შესაღებია. შენობის ძირში დამატებულია საკომუნიკაციო მილი. „1-4“ ფასადი: ფასადი ნაწილობრივ შესალესი და შესაღებია. „2-3“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კონდიციონერის მილი, გაზის მილი და ელექტრო სადენი. ფასადზე დამატებულია მცირე ზომის ღიობი.

„გ-ა“ ფასადი: ფასადზე ლესვის და ღებვის ნაცვლად მოწყობილია ფილებით მოპირკეთება, ხოლო მოპირკეთების ხარჯზე გაზრდილია კედლების სისქე და შემცირებულია გადახურვის სიმაღლე 0.3 მ-ით. „ბ-ა“ მონაკვეთში გაზრდილია მოაჯირის სიგრძე.

+4.95 ნიშნულზე, „3-2“ მონაკვეთში შეცვლილია კიბის უჯრედისთვის განკუთვნილი ღიობის ფორმა და გაბარიტები. +8.45 ნიშნულზე, „2-4“ მონაკვეთში შეცვლილია ვიტრაჟის გაბარიტები და ვიზუალი. სახურავზე შეცვლილია სავენტილაციო შახტების რაოდენობა, გაბარიტები და მონაცვლებული აქვთ ადგილი. „გ-გ“ ღერძთან შახტაზე დამატებულია გამწოვი მილი. გადახურვაზე შესრულებულია მოხრეშვა და შემცირებულია პარაპეტის სიმაღლე 0.2 მ-ით. სახურავზე დამატებულია დანადგარი. „ა-ბ“ მონაკვეთში ვიტრაჟის კედლები მოსაპირკეთებელია.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის,

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ” ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „ბიესი“-ს, ქ. თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა №134-ში (საკ. კოდი №01.13.01.004.138) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (სავაჭრო-საოფისე შენობა-ნაგებობა – III კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/0117265367-17 22.09.2017წ. განცხადება.
№წ-19/0117265367-17 25.09.2017წ. ბრძანება.

სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეგჭკორი